დანართი N5

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ა) უწევს კოორდინაციას და ადმინისტრირებას სოციალურ მუშაობას.

ბ) ახდენს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირებას , მათი საჭიროებების განსაზღვრას და შეფასებას , პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში , როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ანხორციელებს ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებაში ჩართვას და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას.

დ) ახდენს ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას.

ე) უზრუნველყოფს, ბენეფიციარებისთვის შესაბამისი სოციალური , სამედიცინო შეღავათიანი მომსახურების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას.

ვ) ანხორციელებს, მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას.

ზ) უზრუნველყოფს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სოციალური მუშაობის ჩატარებას.

თ) უზრუნველყოფს, სამსახურეობრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.